ასე გავიდა პირველი გოლი ვოროშილოვგრადის „ზარიას“ კარში. ვ. ტუცაევის მიერ მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო გ. ნოდიამ და თავით ზუსტად გაგზავნა იგი სტუმრების კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(ამ მატჩისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).



# ორად ორი წამი...

ვარშავა, 20 მაისი. მშვიდობის XXV საიუბილეო ველორბოლა, რომლის 2014-კილომეტრიანი ტრასა გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გზებზე გადიოდა, საბჭოთა ნაკრების ტრიუმფით დამთავრდა. გუნდმა ლენინგრადელი ვ. ნელიუბინის (მან პირად ჩათვლაში II ადგილი დაიკავა), ნ. გორელოვის (მოსკოვის ოლქი), ქუთაისელი ა. გუსიატნიკოვის, კიშინიოველების ი. მოსკალიოვისა და ვ. ბელოუსოვის, მოსკოველი ი. დმიტრიევის შემადგენლობით 16 ქვეყნის კოლექტივები ჩამოიტოვა. II ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, III — გდრ-ის მრბოლელები.

ფინალი უაღრესად დრამატული გამოდგა: ნელიუბინი გამარჯვებულს, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ვ. მორავეცს სულ 2 წამით ჩამორჩა. ნელიუბინი, რომელიც მორავეცთან ბოლო ეტაპის წინ 5 წამს აგებდა, ბოლო, XIV ეტაპზე ლიუბლინიდან ვარშავამდე (170 კმ) შეუპოვრად იბრძოდა. საკმაოდ გრილ ამინდში იგი მყისვე სათავეში ჩაუდგა რბოლას და ველოსიპედისტთა ფერადი ქარავანი გაიყოლა. პირველ საშუალედო ფინიშზე (46 კმ) ლენინგრადელმა II ადგილი დაიკავა იტალიელი ლუსინიოლის შემდეგ. მორავეცს მან 3 წამი მოუგო. ნელიუბინი მეორე ფინიშსაც სწრაფად უახლოვდებოდა, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „მეორე საშუალედო ფინიშამდე 300 მეტრი რომ დარჩა, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ზემანი და საბჭოთა მრბოლელი ნელიუბინი გზატკეცილის ციცაბო მოსახვევში წაიქცნენ. ზემანი დაშავდა და ჩამორჩა, ნელიუბინი კი ძირითად ჯგუფს მაინც დაეწია“. ამ დროს ვარშავის „ათწლეულის“ სტადიონამდე 20 კმ იყო დარჩენილი.

ბოლო ეტაპზე ფინიშთან პირველი პოლონელი რ. შურკოვსკი მიიჭრა — 3:46.57. ნელიუბინი მეთერთმეტე იყო. მან და ეტაპის პრიზიორებმა — შიფნერმა (გდრ), კშეშოვეცმა (პოლონეთი), აგრეთვე, V ადგილზე გასულმა მორავეცმა ერთნაირი შედეგები აჩვენეს.

საერთო ჩათვლაში III ადგილი დაიკავა შეჯიბრების დებიუტანტმა, 22 წლის გ. კიუნმა (გდრ).

ყველაზე აქტიური მრბოლელის სახელი დაისაკუთრა შურკოვსკიმ, რომელმაც სამი ეტაპი მოიგო და 40 ქულა დააგროვა. ის დაასახელეს საუკეთესო სამთო მრბოლელადაც.

გუნდური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 143:04.13; 2. ჩეხოსლოვაკია — 143:07.24; 3. გდრ — 143:06.03; 4. ბულგარეთი — 143:22.30; 5. საფრანგეთი — 143:32.05; 6. პოლონეთი — 143:44.54.

პირადი ჩათვლა: 1. ვ. მორავეცი —47:41.23 (საშუალო სიჩქარე—საათში 42,4 კმ); 2. ვ. ნელიუბინი — 47:41.27; 3. გ. კიუნი — 47:42.38; 4. ნ. გორელოვი — 47:42.55; 5. ა. გუსიატნიკოვი—47:43.23; 6. მ. გრაზდირა (ჩეხოსლოვაკია) — 47:43.56.

დანარჩენ საბჭოთა სპორტსმენთა შედეგები ასეთია: 8. ი. მოსკალიოვი — 47:44.40; 13. ი. დმიტრიევი — 47:46.04; 20. ვ. ბელოუსოვი — 47:55.30.

(საქდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 99 (4609)

1972 წ.
23 მაისი, სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 5:0

კასაბლანკაში დამთავრდა დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა“ ზონის მეოთხედფინალური მატჩი საბჭოთა და მაროკოელ ჩოგბურთელებს შორის. შაბათს გაიმართა წყვილთა შეხვედრა: ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა დაამარცხეს ო. ლიმინი და ხ. ბუშაიბი — 6:2, 6:2, 7:5. კვირას ჩატარდა ერთეულთა შეხვედრები: მეტრეველმა მოუგო ა. ზამახს (6:4, 7:5, 6:0), ხოლო ვ. კოროტკოვმა—ლიმინს (3:6, 6:1, 6:2, 6:4).

მატჩის საბოლოო ანგარიშია 5:0 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

ნახევარფინალური შეხვედრა საბჭოთა ჩოგბურთელებს მოუწევთ დანია — პოლონეთის მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებულთან.

ჩოგბურთი

## ხუთჭიდი

პოტსდამი, 21 მაისი. ევროპის 1971 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბურგლინდა პოლაკმა (გდრ), რომელსაც ამას წინათ 21 წელი შეუსრულდა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა მძლეოსნურ ხუთჭიდში. აქ გამართულ შეჯიბრებაში მან ასეთი შედეგები აჩვენა: 100 მეტრზე თარჯრბენი — 13,4 წამი, 200 მ — 23,8 წამი, ბირთვი — 15,96 მ, სიმაღლეზე ხტომა — 168 სმ, სიგრძეზე ხტომა — 603 სმ. პოლაკის ქულათა ჯამია 4677 (იააფ-ის ახალი ცხრილით), რაც 2 ქულით აღემატება ევროპის 1971 წლის ჩემპიონის ჰაიდი როზენდალის (გფრ) უწინდელ მიღწევას.

თავი გამოიჩინა გდრ-ის ნაკრების მეორე წევრმაც, 17 წლის ჰაიდი მაისმანმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის — 4186 ქულა (მისი შედეგებია შესაბამისად: 14,5, 25,1, 13,20, 156, 625).

## როცა საათი [illegible] იყო... $19^{45}$

◆ მიუნხენი, 22 მაისი. რუმინეთის, ესპანეთისა და ბულგარეთის წყალბურთელთა გუნდები, რომლებმაც ევროპის რვა ქვეყნის კოლექტივთა აქ გამართულ წინაოლიმპიურ ტურნირში პირველი სამი ადგილი დაიკავეს, XX ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ. მათს გარდა ოლიმპიური ჯილდოებისთვის 13 სახელმწიფოს წყალბურთელები იბრძოლებენ. ეს ქვეყნებია: იუგოსლავია, სსრ კავშირი, უნგრეთი, იტალია, აშშ, ჰოლანდია (ექვსი საუკეთესო — მეხიკოში), გფრ (ტურნირის მასპინძელი), იაპონია (აზიის ჯგუფში გამარჯვებული), კუბა, ბრაზილია, მექსიკა (სამი საუკეთესო ნაკრები ამერიკის კონტინენტზე), ავსტრალია და აფრიკის ქვეყნების გუნდების ტურნირში უძლიერესი.

# რეკორდით დაიწყო

სოჭში გაიმართა რსფსრ-ს ღია საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის ზოგიერთი წევრიც გამოდიოდა. ბირთვის კვრაში ბრწყინვალედ იასპარეზა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ჩიჟოვამ (ლენინგრადი), რომელმაც 20,63 მეტრზე გაგზავნა ეს იარაღი და 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა წინ მიერვე 1969 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ წელს ამ სახეობაში ეს პირველი მსოფლიო რეკორდია, მაგრამ არა გვგონია ბოლოც იყოს, ვინაიდან მეხიკოს ოლიმპიადის წელს ნ. ჩიჟოვამ და მ. გუმელმა (გდრ) რეკორდების ცხრილში ოთხი (აქედან, სამჯერ გუმელმა) შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდისთვის დავა 1969 წელსაც გაგრძელდა. რეკორდი კიდევ ოთხჯერ გაუმჯობესდა, ოღონდ ამჯერად იგი სამჯერ ჩიჟოვამ განაახლა.

სოჭში სხვა რამდენიმე კარგი შედეგიც აჩვენეს. შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში ხარკოველმა ვ. ევერტმა წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი მოიპოვა — 58,50 მ. გ. ბოლიზნეცოვმა ჭოკით 530 სმ სიმაღლე გადალახა. კრასნოდარელი ნ. ბარიბინა 643 სმ სიგრძეზე გადახტა. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. მოშიაშვილმა 110 მეტრზე თარჯრბენში 13,8 წამი აჩვენა. გ. პენზიკოვას (სტავროპოლი) ბადრო 60,62 მეტრზე დაეცა.

## დახმარებას გვთხოვენ

### გვჭირდება სათამაშო მინდორი

სოფელი ყარაჯალა ერთ-ერთი ყველაზე მოზრდილია თელავის რაიონში. აქაური ახალგაზრდები დიდად მონდომებული არიან ჩამოაყალიბონ საფეხბურთო გუნდი, ივარჯიშონ და წარმატებით ითამაშონ რაიონულ შეჯიბრებებში.

მაგრამ საამისოდ აქ ელემენტარული პირობებიც არაა შექმნილი. ჩვენ რამდენიმეჯერ ვთხოვეთ სოფლის თავკაცებს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

იქნებ „ლელოში“ გამოქვეყნებული ამ წერილის შემდეგ გაანძრიონ ხელი ყარაჯალაში სოფლის სპორტსმენების დასახმარებლად.

სოფ. ყარაჯალის ახალგაზრდობის სახელით ე. კორძაძე.

# „მორჯულებული“ ლენტი

ტალინი, 21 მაისი. „ჩემთვის ყველაზე რთული ლენტით ვარჯიში იყო“, — გამოგვიტყდა ომსკელი სტუდენტი გალიმა შუგუროვა მას შემდეგ, როცა მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს. გალიმამ ჯამში 47,6 ქულა მოაგროვა, ამასთან, პირველობა დაისაკუთრა საგნით (43,225) და უსაგნოდ (18,675) ვარჯიშში. ის, ვინც ლენტით ვარჯიშის დროს თვალს ადევნებდა გალიმას, ალბათ არ დაიჯერებდა მის ნათქვამს, რადგან შუგუროვამ სწორედ აქ გვიჩვენა უმაღლესი კლასი და საუკეთესო შეფასება — 9,75 ქულა მიიღო. საბოლოოდ სწორედ ამ ვარჯიშით დაუმტკიცა მან მკაცრ მსაჯებს, რომ ჩემპიონის საპატიო ტიტულის ღირსია.

„კალევის“ სპორტის სასახლეში აღმოჩნდა კიდევ ერთი ქალი, რომელმაც გალიმას ოსტატობას რაღაც წუნი მაინც დასდო. ეს იყო ჩემპიონის მწვრთნელი გალინა გორენკოვა.

— მართალია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ჩემს მოწაფეს ცეკვაში გამომსახველობა ჯერ კიდევ აკლია, — თქვა მან. — ამასთან, გალიმას ოსტატობა მყარი არ არის: ერთ შეჯიბრებაში რომ ბრწყინვალედ გამოვა, მეორეში მარცხდება. შეიძლება ჩემი სიტყვები მეტისმეტად მკაცრი გეჩვენოთ, მაგრამ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებისთვის ამ ნაკლის დაძლევა აუცილებელია. მე ვფიქრობ, გალიმა შეძლებს მიზანს მიაღწიოს. დღეს მან პირველი ლენტი „მოარჯულა“, თუმცა ძალიან ცოტა დრო ჰქონდა ამ ახალი ვარჯიშის მომზადებისთვის.

პრიზიორთა სამეულში შევიდნენ სვერდლოვსკელი ა. ნაზმუტდინოვა (47,05) და ასტრახანელი ა. ზასუხინა (46,7). შუგუროვასთან ერთად ორივე რსფსრ-ს პირველ გუნდში გამოდის, რომელმაც შეჯიბრება მოიგო (231,75).

სპეციალისტებისთვისაც კი მოულოდნელი იყო, რომ ბელორუსიის ტანმოვარჯიშეებს, რომელთაც გუნდურ ჩათვლაში 226,5 ქულა დააგროვეს, II ადგილი ხვდათ. მათს წარმატებას ხელი შეუწყო გუნდის ლიდერის ნ. ბორდუშკოს კარგმა გამოსვლამ — პირადმა VI ადგილმა — 45,75.

რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერს გუნდურ ანსამბლში, ეს მოსკოვის ნაკრების მაგალითიდანაც ნათლად ჩანს. როგორც კი შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ე. კარპუხინას ხელი მოეცარა სალტეთი ვარჯიშში, დედაქალაქის ამ ძლიერ გუნდს ვეღარ ვცნობდით. საბოლოოდ მას V ადგილი ხვდა. „კარპუხინამ წარუმატებლობა იმით ახსნა, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმას მან მაისის დასაწყისში მიაღწია, პირველობისთვის კი უკვე გადაღლილი იყო.

გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს რუსეთის მეორე ნაკრების ტანმოვარჯიშეებმა — 222,5 ქულა, IV — უკრაინის წარმომადგენლებმა — 221,1. ლენინგრადელები VI ადგილზე არიან — 219,95.

ამ პირველობამ, როგორც სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ლ. სავინკოვას მიაჩნია, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მსოფლიო ასპარეზზე წარმატებით გამოსვლისთვის პირველ რიგში ვარჯიშის სირთულისა და გამომხატველობის შეხამება უნდა ისწავლონ. დღემდე ისინი კომბინაციის ელემენტების სირთულეს სილამაზესა და ემოციურობაზე მეტ ყურადღებას აქცევდნენ.

ტექნიკური შედეგები: 4. ნ. ოვჩინიკოვა (უკრაინა) — 45,9 ქულა, 5. ნ. კრაშენინიკოვა (რსფსრ) — 45,85.

ა. ლევინსონი. (საქდესის კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩი მსოფლიო პირველობაზე

### ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე რიგიდან გვატყობინებს

## ნამდვილად დაგვემოწმებით...

Დააკვირდით ამ სურათს. მასზე მეორე პარტიის დრამატული ფინალია აღბეჭდილი. ეს-ესაა ნონამ ლაზიერით შამათი გამოუცხადა კუშნირის მეფეს. ამ ამბით თავად ისეა გაკვირვებული, რომ საათის ღილაკისთვის თითიც არ დაუჭერია. ანდა რა საჭიროა: კუშნირის მეფე დატყვევებულია! პრეტენდენტი მიხვდა, რაც ჩაიდინა და სახეზე ხელები აიფარა. ყოველივე წამის მეათედებში მოხდა, მაგრამ „ლელოს" ფოტორეპორტიორმა მ. ზარგარიანმა მყისვე ფირზე აღბეჭდა ეს მომენტი.

ძნელია ფოტორეპორტიორის მუშაობა. ზარგარიანი პარტიის ფინალს „ჩაუსაფრდა" და მოთმინებით ელოდა კარგ მომენტს. რა თქმა უნდა, წინ არ იცოდა, თუ კუშნირი სრულიად საყაიმო პოზიციაში ისე „დაბრმავდებოდა", რომ ერთსვლიან შამათს ვერ შეამჩნევდა. სასწაული კი მოხდა.

ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩებში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. ბევრს წაუგია უხეში შეცდომით, მაგრამ შამათი არავის გამორჩენია. ამიტომ ჰქონდა კუშნირს თვალები ცრემლებით სავსე.

მაინც რამ გამოიწვია პრეტენდენტის ესოდენ გულდასაწყვეტი შეცდომა? ეს რომ მეექვსე-მერვე პარტიაში მომხდარიყო, უთუოდ დაღლილობას დააბრალებდნენ, მაგრამ მეორე პარტიაში? ვფიქრობთ, ყველაფრის მიზეზი ფსიქოლოგიური განცდებია. მთელი შეხვედრის მანძილზე მატერიალური უპირატესობა კუშნირს ჰქონდა — ჯერ პაიკი, მერე ორი პაიკი და ა.შ. მოგების შანსიც თითქოს რეალური იყო. ნონა მხოლოდ ინიციატივას ფლობდა. საჭირო იყო თითქოს მხოლოდ უშუალო მუქარების მოგერიება. პრეტენდენტმა თანდათან განმუხტა პოზიცია, მხოლოდ ზედმეტი პაიკით დაკმაყოფილდა. ალბათ ამ დროს გაიფიქრა: ჩემი შეტევის დროც დადგაო და... შამათის, ასე ვთქვათ, ბავშვური მუქარა ვერ შეამჩნია.

ჭადრაკი დიდი შინაგანი განცდების თამაშია. კიდევ ერთხელ დააკვირდით ამ სურათს და ნამდვილად დაგვემოწმებით.






## აქედან ვრცელდება

Ჭადრაკის პრეს-ცენტრში მუდამ ხალხმრავლობაა, თუმცა აქ მოჭადრაკეებისა და ჟურნალისტების მეტი არავინ უნდა იყოს.

პარტიის მსვლელობაში სადემონსტრაციო დაფის მიხედვით ბევრს ვერაფერს მიხვდები. მეზობელს ჩურჩულითაც რომ გამოელაპარაკო, მყისვე ორივე მსაჯის მკაცრ მზერას წააწყდები. ვერც მეტოქეთა ქცევით მიხვდები რაიმეს: ისინი თავიანთ განცდებს აშკარად მალავენ, აზრებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომ მოუთმენელ ცნობისმოყვარეთათვის პრეს-ცენტრი მისწრებაა.

აქ ბევრ ნაცნობს შეხვდებით — დიდოსტატებს ს. ფლორსა და ა. გიპსლისს, ოსტატებს—მოსკოველებს ვ. იურკოვსა და ბ. შაშინს, თბილისელ თ. კიკნაძეს, რიგელებს ა. შმიტს, ლ. გუტმანს, ა. კობლენცს და სხვ. არიან სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებიც.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მაყურებელი გაფრინდაშვილისა და კუშნირის სეკუნდანტებს გიპსლისსა და იურკოვს ჰყავთ პარტიების ანალიზის დროს. ხშირად ისინი დაობენ კიდეც.

პრეს-ცენტრში დიდი ლაპარაკი გამოიწვია მეორე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონის პაიკის შეწირვამ.

— მე ვფიქრობ, ნონა პაიკს ტყუილად არ გაიმეტებდა. იცის როგორ მიიღოს კარგი პოზიცია, — თქვა მოსკოველმა ჟურნალისტმა ა. კიკნაძემ.

— თეორიაში წერია, რომ შავები მაინცდამაინც სახარბიელო პოზიციას ვერ ღებულობენ, — შენიშნა ოსტატმა შაშინმა.

— რაც უნდა ეწეროს, ნონა უპირატესობას მაინც მოიპოვებს, — არ ცხრებოდა ჟურნალისტი.

ფლორმა გაიღიმა და თქვა:

— რა გაეწყობა, ამ კაცს ნონასი უფრო სჯერა, ვიდრე თეორიისა. ალბათ საიდუმლო იცის რაღაც!

მერე, როცა მსოფლიო ჩემპიონმა პარტია მოიგო, კიკნაძე ნიშნისმოგებით უღიმოდა ოპონენტებს.

პრეს-ცენტრში რიგის ჟურნალ „შახსის" რედაქტორის მოადგილის, ოსტატ ვ. ჟურავლიოვის ხელმძღვანელობით ბიულეტენი გამოდის. აქ ძვირფასი ცნობებია მოცემული კორესპონდენციების შესადგენად.

პრეს-ცენტრში ხშირად მსაჯებიც შემოდიან. მთავარი არბიტრი ვ. მიკენასი გულს ვერ იწყნარებს, სურს დაფაზე შეამოწმოს თავისი ნაფიქრი.

— ჭეშმარიტება კამათში იბადება. ამიტომ მედავეთ, ნუ მოგერიდებათ, მსაჯი რომ ვარ, — იცინის ლვაწლმოსილი მოჭადრაკე.

ასეა ყოველი პარტიის დროს. ხმაური არავის უშლის ხელს ტელეფონით ლაპარაკში. ჟურნალისტები ცნობებს გადასცემენ მოსკოვში, თბილისში...

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** დიდოსტატი ა. გიპსლისი (მარცხნივ) და ოსტატი ვ. იურკოვი არჩევენ პარტიის მსვლელობას.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

---

### სსრ კავშირის ჩემპიონატები ხელბურთში

## მეოთხედ

ხელბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა უკვე დამთავრდა, ვაჟთა ჩემპიონატში კი პირველი წრის 5 ტური გათამაშდა.

#### ზაპოროჟიეში

ვაჟთა ჩემპიონატის IV ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა" სძლია ცსკა-ს (19:17), მომდევნო, V ტურში კი წააგო მოსკოვის „კუნცევოსთან" — 10:11.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: IV ტური. „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) — „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) 17:18, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 10:8, „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი) 13:13. V ტური. საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) 27:22, მეტალურგიული ინსტიტუტი — ცსკა 16:10, „უნივერსიტეტი" — „ალუმინსტროი" 17:12.

5 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავ. ინსტ. | 5 | 5 | 0 | 0 | 95—67 | 10 |
| მეტალ. ინსტ. | 5 | 4 | 0 | 1 | 68—50 | 8 |
| „უნივერსიტ". | 5 | 2 | 2 | 1 | 76—71 | 6 |
| „კუნცევო" | 5 | 1 | 4 | 0 | 67—66 | 6 |
| ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 72—76 | 4 |
| „ბურ." (თბ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 69—81 | 4 |
| „ბურ." (ტაშ.) | 5 | 0 | 1 | 4 | 79—95 | 1 |
| „ალუმინსტ." | 5 | 0 | 1 | 4 | 63—83 | 1 |

#### კაუნასში

ქალთა ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში კიევის „სპარტაკისა" და მოსკოვის „ლუჩის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 14:14. ამ ტურის დანარჩენმა სამმა შეხვედრამ ასეთი შედეგები მოგვცა: ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „ტექნოლოგი" (მინსკი) 9:9, „სპარტაკი" (ბაქო) — ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი (კიევი) 11:9, „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 10:12.

კიევის „სპარტაკმა" შეჯიბრების ბოლო დღეს სძლია „ტექნოლოგს" (19:8), 42 შესაძლებლიდან 40 ქულა დააგროვა და მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი — „კალინინეცი" 14:11, „ლუჩი" — „სპარტაკი" (ბაქო) 19:10, „ჟალგირისი" — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 19:10.

II ადგილზე გავიდა ბაქოს „სპარტაკი" (31 ქულა), III — მოსკოვის „ლუჩი" (29), IV — კიევის ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი (22), V — კაუნასის „ჟალგირისი" (21), VI — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (13), VII — მინსკის „ტექნოლოგი" (8), VIII — სვერდლოვსკის „კალინინეცი" (4).

---




## სად და როდის...

თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ხაშურისა და ფოთის სპორტულ ბაზებზე გაიმართება მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები.

გთავაზობთ სპარტაკიადის კალენდარს.

#### თბილისი

ფეხბურთი. 25-30 მაისი სპორტკლუბ „სინათლისა" და გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის სტადიონები. დასაწყისი 10 ს.

ხელბურთი. 25-29 მაისი (უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის), 14-18 ივნისი (საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის). კიროვის სახელობის პარკის სტადიონი. დასაწყისი 10 ს.

სპორტული ტანვარჯიში. 26-29 მაისი. თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპორტსკოლის დარბაზი. დასაწყისი 10 ს.

მხატვრული ტანვარჯიში 30-31 მაისი. კალინინის რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი. დასაწყისი 10 ს.

მძლეოსნობა. 31 მაისი-3 ივნისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. დასაწყისი 11 და 17 ს.

ველოსპორტი. 31 მაისი-4 ივნისი. ნატახტრის გზატკეცილი და თბილისის ზღვის მიდამოები. დასაწყისი 11 ს.

კალათბურთი. 1-5 ივნისი (უფროსი ასაკის მოსწავლეები), 10-14 ივნისი (საშუალო ასაკის მოსწავლეები). თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტდარბაზი. დასაწყისი 10 ს.

ჭადრაკი. 2-6 ივნისი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. დასაწყისი 10 ს.

ფარიკაობა. 5-11 ივნისი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფარიკაობის დარბაზი. დასაწყისი 10 ს.

ჩოგბურთი. 6-15 ივნისი. „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონი. დასაწყისი 10 ს.

აკრობატიკა. 7-10 ივნისი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი. დასაწყისი 11 ს.

ფრენბურთი. 7-11 ივნისი (უფროსი ასაკის მოსწავლეები), 14-18 ივნისი (საშუალო ასაკის მოსწავლეები). თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მოედნები. დასაწყისი 10 ს.

წყალბურთი. 10-12 ივნისი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. დასაწყისი 11 ს.

კრივი. 12-14 ივნისი. სპორტის სასახლე. დასაწყისი 12 და 18 ს.

წყალში ხტომა. 14-15 ივნისი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. დასაწყისი 11 ს.

კლასიკური ჭიდაობა. 16-18 ივნისი. სპორტის სასახლე. დასაწყისი 11 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. 21-23 ივნისი. სპორტის სასახლე. დასაწყისი 11 ს.

#### სოხუმი

ტყვიის სროლა. 28 მაისი-2 ივნისი. „დინამოს" სასროლეთი. დასაწყისი 11 ს.

#### ქუთაისი

ცურვა. 22-25 ივნისი. „განთიადის" საცურაო აუზი. დასაწყისი 11 და 18 ს.

#### ხაშური

მაგიდის ჩოგბურთი. 12-19 ივნისი. განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი. დასაწყისი 10 ს.

#### ფოთი

ნიჩბოსნობა. 10-12 ივნისი. წყალჯომარდობის სადგური. დასაწყისი: 10 ივნისს — 17 ს., 11 და 12 ივნისს — 11 ს.

---

## ორი ჩემპიონი

ქედანოვში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1954-56 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ხალიჩაზე საზოგადოების 160-მდე საუკეთესო ათლეტი გამოვიდა.

კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. პირველ ყოვლისა, ქების ღირსნი არიან უმსუბუქეს წონაში გამარჯვებული ხ. კაციაშვილი და პირველი პრიზიორი მძიმეწონოსანთა შორის, უნივერსიტეტის სტუდენტი ა. რეხვიაშვილი.

II ადგილები დაისაკუთრეს გ. გაბროშვილმა და მ. მეკოკიშვილმა, III ადგილი ხვდა ზ. ბეგრალიშვილს.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

# ყოველ მატჩში — საჩემპიონო ქულები!

## ქალაქები, გოლები, ქულები

20 და 21 მაისს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

„არარატი“ — ასკ 0:1.

გოლი, რომელმაც როსტოველებს პირველი გამარჯვება მოუტანა მიმდინარე გათამაშებაში, ბონდარენკომ გაიტანა მე-15 წუთზე.

„ტორპედო“ — „კარპატი“ 0:0.

„დინამო“ (მინსკი) — „დნეპრი“ 0:0.

დინამოელებს შეეძლოთ გამარჯვება, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ე. მალოფეევმა პენალტი ვერ გამოიყენა: ბურთი აიღო მეკარე კოლტუნმა. გაფრთხილება მიეცა მინსკელ მ. მალოფეევს.

„ლოკომოტივი“ — „ქაირათი“ 0:2.

ანგარიში გახსნა როჟკოვმა, ხოლო ჩებოტარიოვმა მატჩის დასასრულს გაიტანა მეორე გოლი. ეს ალმაათელთა პირველი მოგებაა წლევანდელ ჩემპიონატში.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბ.) | 8 | 6 | 1 | 1 | 13—3 | 13 |
| „ზარია“ | 8 | 6 | 1 | 1 | 13—5 | 13 |
| ცსკა | 8 | 5 | 1 | 2 | 12—8 | 11 |
| „დინ.“ (კ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 12—10 | 10 |
| „ზენიტი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 12—8 | 9 |
| „დნეპრი“ | 8 | 2 | 5 | 1 | 10—9 | 9 |
| „ქაირათი“ | 8 | 1 | 5 | 2 | 6—7 | 7 |
| „ლოკომოტ.“ | 8 | 2 | 3 | 3 | 4—7 | 7 |
| „დინამო“ (მ.) | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| „სპარტაკი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 7—8 | 6 |
| „კარპატი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 7—9 | 6 |
| „დინ.“ (მნ.) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—8 | 6 |
| „ტორპედო“ | 8 | 1 | 4 | 3 | 4—12 | 6 |
| „არარატი“ | 7 | 1 | 3 | 3 | 9—7 | 5 |
| „ნეფთჩი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 4—7 | 5 |
| ასკ | 8 | 1 | 1 | 6 | 4—14 | 3 |

## I ლიგა

გატყობინებთ 19 მაისს ჩატარებული ტურის შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „ზვეზდა“ (პერმი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:2, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 8 | 6 | 0 | 2 | 13—3 | 12 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 10—8 | 12 |
| „შახტ.“ (დ.) | 9 | 3 | 5 | 1 | 12—5 | 11 |
| „პამირი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 9—10 | 11 |
| „ჩერნომორ.“ | 8 | 4 | 2 | 2 | 16—8 | 10 |
| „ავტომობ.“ | 8 | 3 | 4 | 1 | 10—6 | 10 |
| „ზვეზდა“ | 8 | 3 | 4 | 1 | 7—3 | 10 |
| „შახტ.“ (ც.) | 8 | 3 | 4 | 1 | 8—6 | 10 |
| „შინიკი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 9—8 | 10 |
| „კრ. სოვეტ.“ | 8 | 1 | 7 | 0 | 8—7 | 9 |
| „სპარტაკი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 12—13 | 9 |
| „ალგა“ | 9 | 1 | 6 | 2 | 8—6 | 8 |
| „მეტალურგი“ | 9 | 2 | 4 | 3 | 11—10 | 8 |
| „მეტალისტი“ | 9 | 2 | 4 | 3 | 8—10 | 8 |
| „კრივბასი“ | 9 | 2 | 3 | 4 | 9—16 | 7 |
| „ნისტრუ“ | 8 | 2 | 2 | 4 | 4—9 | 6 |
| „სტროიტელი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 8—16 | 6 |
| „ურალმაში“ | 8 | 1 | 3 | 4 | 8—10 | 5 |
| „დინამო“ | 8 | 2 | 1 | 5 | 7—11 | 5 |
| „ტექსტილ.“ | 8 | 0 | 3 | 5 | 6—17 | 3 |

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 20 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1 (1:0).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი (რეხვიაშვილი).

„ზარია“: ფორკაში, ს. კუზნეცოვი (შულჟენკო), მალიგინი, პინჩუკი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, სემიონოვი, ელისეევი, მოროზოვი, ონიშჩენკო.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს რეხვიაშვილმა, კანთელაძემ და კრავჩენკომ.



ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ მატჩის მნიშვნელობა თბილისის „დინამოსთვის“: ხარ II ადგილზე, შინ დებულობ ლიდერს, საშუალება გეძლევა სათავეში ჩაუდგე გათამაშების ცხრილს, ესე იგი, პირდაპირი გეზი აიღო ჩემპიონობისკენ! როდის, თუ არა ასეთ დროს, უნდა აჩვენო ყველაფერი, რაც შეგიძლია, მაქსიმალურად შეალიო ბრძოლას შენი შესაძლებლობანი, ჩააქსოვო მასში მთელი ძალა და უნარი.

ასეთი მნიშვნელობის მატჩებში მეტოქეები, როგორც წესი, ფრთხილობენ, ნერვიულობენ, გამწვავებებს გაურბიან. დასაწყისში არც ეს შეხვედრა შეადგენდა გამონაკლისს ამ წესიდან. მართალია, დინამოელებმა პირველივე წუთებიდან შეძლეს უპირატესობის მოპოვება და თამაში მათი კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ ტემპი არ იყო მაღალი, ბურთის გათამაშება შუა მინდორში აუჩქარებლად ხდებოდა. ეს, პირველ ყოვლისა, ხელს აძლევდა სტუმრებს. ისინი პოზიციურ ბრძოლას ამჯობინებდნენ ქულის ახაღებად, რომელიც მათ სჭირდებოდათ ესოდენ ძნელ მატჩში.

პირველი, ვინც მკვეთრად შეცვალა მატჩის ნელი მსვლელობა, გუცაევი იყო. „დინამოს“ ახალგაზრდა გარემარბმა ისეთი ცეცხლი შეუნთო „ზარიას“ დაცვას, რომ მისი ყოველი გამოჩენა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე ნამდვილ დარბევას ჰგავდა. გუცაევის პირადი დარაჯი პინჩუკი სრულიად უმწეო აღმოჩნდა ოდნავ მაინც შეეკავებინა თავისი „ოპონენტი“. ერთადერთი, რაც მან შეძლო, ეს იყო ელემენტარული უხეშობა, მეტოქის ხელით დაჭერა და ამიტომ ვოროშილოვგრადელთა მარცხენა მცველს ერთდროულად რამდენიმე პარტნიორი ეხმარებოდა, თუმცა მდგომარეობა ვერც ამან იხსნა. შემდგომში პინჩუკის ნაცვლად ამ ფლანგზე გადმოვიდა ს. კუზნეცოვი, რომელიც თავის წინამორბედს გაცილებით სჯობდა, თუმცა გუცაევი ჩვეულებრივად „თარეშობდა“ სტუმრების საჯარიმო მოედანზე.

გულშემატკივართაგან ბევრს არ მოსწონს ისეთი ტიპის გუნდი, როგორიცაა „ზარია“. არ მოსწონს იმიტომ, რომ „ზარიას“ არა ჰყავს მაღალი კლასის შემსრულებლები და ინდივიდუალურად გამორჩეული მოთამაშეები, ნაკლებად მიმართავს ეფექტურ გარღვევებსა და დრიბლინგს, სხვადასხვა სახის სანახაობრივ ტრიუკებს, სილამაზეს.

მაგრამ ვინ თქვა, რომ თანამედროვე ფეხბურთში საერთო სიძლიერე და, თუ გნებავთ, კლასიც, მხოლოდ გარეგნული ეფექტებითა და თვალისმომჭრელი ილეთებით განისაზღვრება? ვარსკვლავებისა და სოლისტების უყოლობის კომპენსაცია შეიძლება ტაქტიკურად სრულყოფილი, გააზრებული, კოლექტიური თამაშით და „ზარია“ ამას შესანიშნავად აკეთებს.

პირდაპირ ვიტყვით: ვოროშილოვგრადელთა გუნდი მოგვეწონა. დიახ, მართალია, გამოჩენილი ფეხბურთელები და ნაკრების წევრები მას არა ჰყავს, მაგრამ ახასიათებს სხვა ძვირფასი თვისებები: უდიდესი თავდადება, დაუშრეტელი ენერგია და ბრძოლისუნარიანობა, კოლექტივიზმის უმაღლესი გრძნობა, რაციონალური კომბინაციები. ვოროშილოვგრადელები თამაშობენ სადად, აკეთებენ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა ყოველ კონკრეტულ მომენტში. „ზარიას“ სამოქმედო სქემაში ვერ ნახავთ უსარგებლო, ფუჭ სვლებს, ვერ ნახავთ გაჩერებულ მოთამაშეს, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას თუნდაც წამით გადააბარებს სხვას ან რომელიმე ეპიზოდში უქმად დადგება. ეტყობა, წინასწარ შემუშავებულ გეგმაში ყველაფერი დეტალურად გაანგარიშებული და აწონ-დაწონილია, იგი ყველასთვის კანონია.

ავიღოთ, თუნდაც, დაცვა. მას ძალიან უჭირდა ტექნიკურად ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა, მაგრამ კარგი კოლექტიური ურთიერთდაზღვევა გუნდს საშუალებას აძლევდა თავი ეხსნა ურთულეს ვითარებაშიც კი. ნახევარმცველები რეგულარულად ეხმარებიან მცველებს და შეტევაშიც აქტიურად მონაწილეობენ, ხოლო თავდამსხმელები ვრცელ დიაპაზონზე მოქმედებენ, ხშირად იცვლიან ადგილებს, მუდამ თავისუფალი არიან ბურთის მისაღებად. გაიხსენეთ მეორე ტაიმის დასაწყისი, როცა სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს, გოლიც გაქვითეს და არაერთი საგოლე მომენტიც შექმნეს დინამოელთა მხარეს. საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს ონიშჩენკომ, სემიონოვმა, მოროზოვმა.

მაგრამ კლასი მაინც კლასია და ამ მხრივ „დინამო“ აშკარად სჯობდა თავის მეტოქეს. სწორედ კლასმა და არა დიდმა შრომისუნარიანობამ მოუტანა გამარჯვება ჩვენს გუნდს.

კვლავ გამოიჩინა თავი გოგიამ, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თბილისელთა კარი საიმედო ხელთაა. მან რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო, ხოლო მეორე ტაიმში კუთხურზე გადაიყვანა ონიშჩენკოს ისეთი დარტყმა, რომლის წინაშე ექსტრა-კლასის მეკარეებიც კი უძლურნი არიან.

„დინამოს“ დაცვამ თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა პირველი ტაიმი. სტუმრების ყველა მანევრი, ყველა შეტევა ორგანიზებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ძალიან სუსტად ითამაშა ძოძუაშვილმა, რომელმაც როგორღაც უცბად დაკარგა სისწრაფეც, პოზიციის შერჩევის უნარიც და მთლიანად გადააბარა ინიციატივა ონიშჩენკოს. ბევრჯერ უზუსტოდ იმოქმედა ხურცილავამაც და მთელი სიმძიმე დაცვაში დააწვათ პეტრიაშვილსა და ჰელიძეს. განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ჰელიძის დიდ ტაქტიკურ ალღოს და სიმშვიდეს.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია ლაპარაკი იმ ფაქტზე, რომ ნაკრებიდან შინ დაბრუნების შემდეგ ძოძუაშვილი და ხურცილავა მეტისმეტად გადაღლილები ჩანან და თავიანთ შესაძლებლობაზე უარესად თამაშობენ. ასე იყო „ნეფთჩისთან“ შეხვედრაში, ასე იყო ახლაც. ძოძუაშვილმა დიდი უპირატესობით ითამაშა იუგოსლაველთა გამოჩენილი გარემარბის ჯაიჩის წინააღმდეგ, ონიშჩენკოსთან კი ვერაფერს გახდა. დაქანცულობის გარდა ამას სხვა მიზეზით ვერ ავხსნით.

„დინამოს“ ნახევარდაცვაში სჭარბობდა მოკლე გადაცემები და ბურთის ტარება, მაგრამ ასათიანისა და მაჩაიძის მიმართ საყვედური ბევრი არაფერი გვაქვს: ისინი საჭირო სიმაღლეზე იდგნენ. გავაშელი საგრძნობლად იყო ამოვარდნილი საერთო სქემიდან, ზოგ მომენტში კი ინერტულობას იჩენდა, არ ეხმარებოდა პარტნიორებს, უბრალოდ, პასიურობდა.

არ გამოუვიდა თამაში ყიფიანს.

სამაგიეროდ, ნაყოფიერად და სასარგებლოდ იშრომა ნოდიამ, ხოლო გუცაევმა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თბილისელებმა მე-20 წუთზე გახსნეს ანგარიში: გუცაევმა თავისი ტრადიციული გარღვევა შეასრულა მარჯვენა ფლანგზე, ცენტრში გადასცა ბურთი და აქ საკმარისი აღმოჩნდა მცველებისა და მეკარის წამიერი შეფერხება, რომ ნოდიას ზუსტი თავური დარტყმით გაეტანა გოლი.

ანგარიში 59-ე წუთზე გაათანაბრა ვ. კუზნეცოვმა, რომელიც კარგად ჩაერთო თავის თავდამსხმელთა იერიშში, ღიად დარჩა და დაბალი ბურთი გაგზავნა მარცხენა დაბალ კუთხეში.

„ზარიას“ კარში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ასათიანმა. წესტევაზე დინამოელთა რამდენიმე მოთამაშე იყო, ვოროშილოვგრადელებმა თითქოს თავი დააღწიეს საშიშროებას, როცა ბურთი კარს მარცხნივ გადასცდა, მაგრამ ასათიანი მაინც მიწვდა მას, თავს უკან დაარტყა და ფორკაში უძლური იყო რაიმე მოემოქმედა — 2:1.

უაღრესად მნიშვნელოვანი, პრინციპული მატჩი მოგებულია. ახლა ჩვენი გუნდი ლიდერია და ეს გარემოება კიდევ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ დინამოელს. ლიდერის წინააღმდეგ ყველა საგანგებოდ იბრძვის, და ამიტომ არავისგან არავითარ შეღავათს არ უნდა მოველოდეთ. კერძოდ, ძალიან ძნელი მატჩი მოელით დინამოელებს ერევანში, სადაც „არარატმა“ ზედიზედ ორი თამაში წააგო და, ცხადია, ყველაფერს იღონებს შერყეული პრესტიჟის აღსადგენად. თბილისელებმა ყოველ მატჩში თავგამოდებით უნდა იბრძოლონ საჩემპიონო ქულებისთვის.

გ. ანთაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ბ. ქორქია.

• • •

სურათზე: აასეთ მომენტს ხშირად ვხედავდით განვლილ მატჩში. „ზარიას“ კარს უტევენ ქ. ასათიანი და გ. პეტრიაშვილი (№ 6). სტუმრები კი გაძლიერებული ძალებით იცავენ თავს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## II ლიგა ზონა

## 1:0, 3:0, 0:2

21 მაისს გამართულ მატჩებზე ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### ბათუმი

დინამოელთა მეტოქემ — ორიოლის „სპარტაკმა“ უხეიროდ დაიწყო მიმდინარე გათამაშება: ექვს ტურში მან მხოლოდ 3 ქულა აიღო და XVII ადგილზე იყო. სტუმრები დიდი მონდომებით იბრძოდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები ლიდერთა ჯგუფს უახლოვდებოდნენ.

მატჩი ძალიან საინტერესოდ წარიმართა. დინამოელებმა თამაშის დასაწყისშივე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და რამდენიმე საიერიშო კომბინაცია განახორციელეს. ერთ-ერთმა მათგანმა წარმატება მოუტანა გუნდს: მე-19 წუთზე ქიქავამ შორიდან ძლიერად დაარტყა, მეკარე პოლიანსკიმ შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ რამიშვილმა დაასწრო მცველებს და ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი — 1:0. ტაიმის დასასრულს სპარტაკელ სურნენკოს შეეძლო თანაფარდობის აღდგენა, მაგრამ მისი გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო გამოდგა.

შესვენების შემდეგ ინიციატივას კვლავ ბათუმელები ფლობდნენ. ესებუას, რამიშვილს და კვლავ ესებუას შეეძლოთ თავიანთი გუნდის დაწინაურება. 59-ე წუთზე ქიქავა — რამიშვილის კომბინაციის შემდეგ პოლიანსკიმ კუთხურზე მოიგერია ძნელი ბურთი.

ბათუმის „დინამომ“ მოიპოვა უაღრესად საჭირო 2 ქულა, თუმცა შეეძლო უფრო დამაჯერებლადაც გაემარჯვა.

ლ. მურვანიძე.

### ფოთი

საუკეთესოდ ითამაშა „კოლხეთმა“ ბრიანსკის „დინამოსთან“. ანგარიშის გახსნა მასპინძლებს შეეძლოთ უკვე მე-5 წუთზე, როცა არზიანი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. ასეთივე შესაძლებლობა მიეცა სანაიას, ხოლო შემდგომში „კოლხეთის“ მცველის გუდავაძის დარტყმა ზედ კარის ხაზიდან მოიგერიეს სპარტაკელებმა.

უფრო შედეგიანად ითამაშა „კოლხეთმა“ შესვენების შემდეგ. თავდამსხმელები ბევრს უტევდნენ და, რაც მთავარია, უფრო ზუსტად ურტყამდნენ კარში. ანგარიში 65-ე წუთზე გახსნა სანაიამ. შემდეგ არზიანი — კვარაცხელია — როხვაძის კომბინაცია დამთავრდა მეორე გოლით და უკვე მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, კვარაცხელიამ თავისი გუნდის გამარჯვება განამტკიცა — 3:0.

ბ. ბასილაია.

### რუსთავი

ასე ცუდად რუსთავის „მეტალურგს“ ჯერ არ დაუწყია არც ერთი გათამაშება. გუნდს 21 მაისს პოდოლსკის „მაშინოსტროიტელთან“ ყველაფერი უნდა ეღონა თავისი რეაბილიტაციისთვის უხეიროდ ჩატარებული ვასვლითი თამაშების შემდეგ, მაგრამ მისი გულშემატკივარნი ახლაც გაწბილებულნი წავიდნენ სტადიონიდან. „მეტალურგი“ ისევ დამარცხდა და კანონზომიერადაც: მოთამაშეები არავითარ მონდომებას არ იჩენდნენ, მათი უმეტესობა უქმად იდგა და არ ცდილობდა შეეტანა გარდატეხა თამაშის მსვლელობაში.

რა თქმა უნდა, სტუმრებმა მეტოქის ასეთი უუნარობა მაქსიმალურად გამოიყენეს: მე-19 წუთზე ნიკონოვი სწრაფად გავიდა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო მეორე ტაიმში კასიამ კიდევ ერთხელ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 2:0.

რუსთაველმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში 9 ორიანი მიიღეს ასეთი პასიური, ცუდი თამაშისთვის საჭიროა მთელი კოლექტივი ჩაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას და გამოასწოროს იგი, ვიდრე გვიან არ არის.

რ. გაბრიჩიძე.

ასე დამთავრდა: „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 2:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 2:0, „ქილა“ (გორი) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 2:0.



● ნაგოია, 21 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიის ეროვნულ გუნდთან ტოკიოში პირველი წაგების რევანში აიღო ისეთივე ანგარიშით — 3:1. პარტიები ასე დამთავრდა: 9:15, 15:18, 15:5, 15:11.

● რიგა, 21 მაისი. „რიგის თასზე" საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს მძლეოსნებმა სამი პრიზი გაითამაშეს: ვაჟებმა — სიმაღლეზე ხტომაში, ქალებმა — ბადროს ტყორცნასა და 200 მეტრზე რბენაში. ორი პრიზი ბუქარესტში და როსტოკში წაიღეს: ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუმინელმა ლ. მანოლიუმ (60,14 მ), ხოლო სიმაღლეზე ხტომაში საუკეთესო იყო გდრ-ის წარმომადგენელი ჰ.-ვ. შვაბე (211 სმ). ასეთივე სიმაღლე დაძლია ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა, მაგრამ მეტოქეს ცდების მიხედვით ჩამორჩა. მესამე თასს მინსკისკენ უდევს გზა: 200 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა ვ. მაკოვეცკაიამ (24,4 წამი).

● კინშასა, 21 მაისი. რესპუბლიკა ზაირში კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდმა და ისევ დამარცხდა, ამჯერად ანგარიშით 1:2 (1:1). „ვიტა-კლუბთან" წაგების შემდეგ სპარტაკელებმა ქვეყნის ნაკრებთან იწვნიეს მარცხის სიმწარე. მასპინძელთა კარში ბურთი პირველი ტაიმის მიწურულს ეგოროვიჩმა გაიტანა.

● ვოროშილოვგრადი, 21 მაისი. ადგილობრივმა მძლეოსნებმა გუნდურ გამარჯვებას მიაღწიეს უკრაინის თასის გათამაშებაში. II ადგილზე გავიდა ოდესის ოლქის ნაკრები, ხოლო III — კიეველთა კოლექტივი. ასპარეზობის ბოლო დღეს თავი გამოიჩინა ახალგაზრდა კიეველმა მძლეოსანმა ვ. პილიპენკომ, რომელმაც ქალთა პროგრამის ახალ სახეობაში — 3000 მეტრზე რბენაში აჯობა ყველას — 9.48,8.

● მინსკი, 21 მაისი. სტუდენტ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ნ. საფრონოვამ 100 მ 11,5 წამში გაირბინა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს სსრ კავშირში.



# მოლდავეთის მძლეოსანთა წარმატება

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტურნირი. საერთო გუნდურ ჩათვლაში მოლდავეთის ნაკრებმა 377 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. II ადგილზე არიან მასპინძლები (344 ქულა), III — აზერბაიჯანის სპორტსმენები (300). სომხეთის ნაკრებს 77 ქულა აქვს.

საქართველოს ათლეტები პირადი ტურნირის მთელ რიგ სახეობებში კარგად გამოვიდნენ. ვ. ნესტერენკომ 10000 მეტრზე რბენაში 30.13,2 აჩვენა და 1,8 წამით გააუმჯობესა ნ. სერგეევის მიერ 1960 წელს დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი. 100 მეტრზე თარჯრბენში ფავორიტს, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონს, თბილისელ ლ. იველევას ძლიერი მეტოქეობა გაუწია თანაგუნდელმა თ. კლდიაშვილმა, რომელმაც თარჯრბენის გამოცდილ ოსტატს მძლავრი ფინიშის წყალობით გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა. ორივემ ერთნაირი შედეგი (14,1) აჩვენა.

მ. თათევოსიანმა ჭოკით ხტომაში გამარჯვებაც მოიპოვა და საქართველოს რეკორდსმენიც გახდა. 480 სმ სიმაღლე გადალახა. ეს შედეგი დ. აჩკოვის ოთხი წლის წინათ დამყარებულ მიღწევაზე 10 სანტიმეტრით უკეთესია.

4×400 მეტრზე რბენაში რესპუბლიკის რეკორდი გააუმჯობესა აზერბაიჯანის ვაჟთა კვარტეტმაც — 3.16,0. მსოფლიო რეკორდსმენმა, ერევნელმა ფაინა მელნიკმა ბადრო 62,24 მეტრზე ტყორცნა.

* * *

სურათებზე: 100 მეტრზე თარჯრბენის მომენტი. თარჯზე გადადიან თ. კლდიაშვილი (მარცხნივ) და ლ. იეველევა; ვ. ნესტერენკო ფინიშთან.

ო. გელაშვილის ფოტოები.

# ასე არასდროს გასჭირვებია...

შესანიშნავ ესტონელ ძალოსანს ი. ტალტსს (მძიმე წონა) წესად აქვს: თუ რეკორდი ჩამოართვეს, არნახული გაафთრებით იბრძვის დაკარგულის დასაბრუნებლად. ასე მოხდა რუმინეთის ქალაქ კონსტანცაშიც, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. იქ ტალტსმა დამატებით, მეთხე ცდაზე 211 კგ აჭიმა და ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მოსკოველი ი. კოზინის მიერ სულ რამდენიმე დღის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ატაცში შედარებით მოკრძალებული მაჩვენებელი რომ არა (თუმცა 165 კილოგრამიც საკმარისი გამოდგა, რომ ოქროს მცირე მედალი მოეხვეჭა ამ მოძრაობაში), ტალტსი თავის სანუკვარ ოცნებასაც აისრულებდა და პირველი გახსნიდა „600-ანთა კლუბს" მძიმეწონოსანთა შორის.

ტალტსმა მეორე მსოფლიო რეკორდი აკვრაში დაამყარა — 222,5 კგ. ესეც კოზინის ამასწინანდელ მიღწევაზე 1,5 კგ-ით უკეთესია. სამჭიდის ჯამში მან თავისივე მსოფლიო რეკორდი (587,5 კგ) გაიმეორა, მაგრამ მსოფლიო რეკორდი რამდენიმე დღით ადრე კოზინმა და იაკუბოვსკიმ 590 კგ-მდე აიყვანეს.

სამჭიდში II ადგილზე გავიდა ს. გრიუცნერი (გდრ) — 550 კგ. ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ფინელმა კაუკო კანგასნიემიმ — 540 კგ.

გუშინწინ, ტურნირის ბოლო დღეს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ზემძიმე წონის ათლეტები. სახელოვან საბჭოთა გოლიათს ვ. ალექსეევს გამარჯვება ასე არასდროს გასჭირვებია. უკვე პირველსავე მოძრაობაში — აჭიმვაში ხას აჯობა რ. მანგმა (გფრ) — 230 კგ. პირველ ცდაზე ალექსეევმა 225 კგ აჩვენა, მერე კი თავისი ჩვეულებისამებრ პირდაპირ მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში — 237,5 კგ შეუკვეთა. მაგრამ ათლეტმა ორი ცდა ამაოდ შეალია წონის დაძლევას.

ატაცში მანგმა 177,5 კგ დაძლია. ალექსეევმა 175 კგ აჩვენა, კვლავ თავის მსოფლიო რეკორდს შეუტია და ამჯერადაც ამაოდ დაშვრა. ორი მოძრაობის ჯამში მანგს 407,5 კგ ჰქონდა, ალექსეევს კი 7,5 კგ-ით ნაკლები.

აკვრა დასავლეთგერმანელმა ათლეტმა 222,5 კგ-ით დაამთავრა და სამჭიდის ჯამში 630 კგ-ის მოგროვებით პირადი რეკორდი 5 კგ-ით გააუმჯობესა.

მეორე ცდაზე ალექსეევმა 232,5 კგ აკრა, რამაც საბოლოოდ I ადგილზე გაიყვანა. მისი მაჩვენებელია 632,5 კგ. ალექსეევი მესამედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ვერცხლის დიდი მედალი მოიგო მანგმა. III ადგილზეა გდრ-ის წარმომადგენელი გ. ბონკი — 565 კგ.

„600-ანთა კლუბის" წევრს, ცნობილ ბელგიელ ძალოსანს ს. რედინგს 210 კგ-ის აკვრისას ხელი მოეცა და ბრძოლას გამოეთიშა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა ძალოსნებმა — 56 ქულა. II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები (39 ქულა), რაც უთუოდ დიდი მიღწევაა. III ადგილზე დარჩნენ პოლონელები — 29 ქულა.

ამრიგად, 9 წონითი კატეგორიიდან საბჭოთა ძალოსნებმა ექვსში გაიმარჯვეს (რ. ბელენკოვი, დ. შანიძე, ბ. პავლოვი, დ. რიგერტი, ი. ტალტსი, ვ. ალექსეევი), ორი II (ა. კნატოვი, ვ. კურენცოვი) და ერთი III ადგილი (მ. კირჟინოვი) დაიკავეს.

* * *

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წარსულში სახელგანთქმულმა ძალოსანმა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ტომი კონომ, რომელსაც ძალოსნობის მოყვარულები „რკინის ჰავაელის" სახელითაც იცნობენ, ალექსეევისა და მანგის ბრძოლის წინ აღნიშნა, რომ მიუნჰენში ამ ორი ათლეტის ჭიდილი შესაძლოა დაგვირგვინდეს მსოფლიოს ახალი რეკორდით, რომელიც დაახლოებით 660 კგ იქნებაო.

კონოს სიტყვების სისწორე დაამტკიცა ალექსეევისა და მანგის ორთაბრძოლამ კონსტანცაში.

# ლაპარაკობს მთავარი მსაჯის მოადგილე

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ლიდერი თ. ხუგაშვილი VII ტურში ც. კახაბრიშვილს შეხვდა და პარტია პატარა უპირატესობით გადადო. ნ. ჩიქობავამ დაამარცხა მ. გაგლოევა, ნ. ხუბულურმა (ყველა — თბილისი) — მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი). ე. ბაშინჯაღიძემ წააგო თ. კაჭარავასთან, ხოლო ქ. გეგიძე — ნ. ბალაშვილის (ყველა — თბილისი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო.

VIII ტურში ხუგაშვილმა (შავებით) სძლია დ. ქობალიას. კაჭარავამ მოუგო ხუბულურს. ყაიმით დამთავრდა ჩიბურდანიძე — წერეთლისა და გაგლოევა — ბაშინჯაღიძის შეხვედრები. სამი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ლიდერი გახდა კაჭარავა. 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ხუგაშვილს, 4-4 ქულა — ჩიქობავასა და ხუბულურს, ოღონდ პირველმა ერთი პარტია გადადო.

* * *

ჩვენ ვთხოვეთ შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილეს, სპორტის ოსტატ ნ. სოროკინს (თბილისი) „ლელოს" მკითხველებისთვის თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა.

— წლევანდელი ჩემპიონატი მკვეთრად განსხვავდება წინა წლების ასეთივე შეჯიბრებებისგან, — თქვა მან. — თუ წინა წლებში გამოდიოდნენ სახელგანთქმული მოჭადრაკეები გაფრინდაშვილი, ალექსანდრია, ჩაიკოვსკაია, კაკაბაძე, ახლა ძირითადად ახალგაზრდები იბრძვიან პირველობისთვის, — მათ ხომ ახლო მომავალში რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვან საკავშირო სარბიელზე.

ჩემპიონატში პირველ ოთხ ადგილზე გასულნი სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში დაიშვებიან. უკან დარჩა შეჯიბრების ნახევარზე მეტი, თავდაპირველად ოსტატობის კანდიდატი კაჭარავა დაწინაურდა, მაგრამ V ტურში იგი ოსტატ ხუგაშვილს შეხვდა და დამარცხდა. ოსტატს მეტი გამოცდილება აქვს და კარგ სტილში მოუგო მეტოქეს. ხუგაშვილი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ქუთაისელმა მოჭადრაკემ ჩიბურდანიძემ (იგი სულ 14 წლისაა). მას ქულა ცოტა აქვს, მაგრამ პოზიციის გაგების უნარი, გააზრებული თამაში მეტყველებს, რომ სათანადო მუშაობის შემდეგ უახლოეს მომავალში ჩიბურდანიძე რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მოჭადრაკე იქნება.

ჩემპიონატი ახლა შედის გადამწყვეტ ფაზაში და იმ სანუკვარ ოთხეულში მოსახვედრად ცხარე ბრძოლები წინაა.

ა. ცეხანელი.

## საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულთათვის

„ლელოს" 21 მაისის ნომერში მოთავსებულია ვ. კალანდაძის ეტიუდი. დიაგრამის h3 უჯრაზე უნდა იყოს შავი პაიკი.

## ურუგვაელები ევროპაში

მაისის მეორე ნახევარში ურუგვაის ნაკრები ხანგრძლივ გასტროლებს იწყებს ევროპაში. 23 მაისს იგი მადრიდში შეხვდება ესპანეთის ეროვნულ გუნდს, 27 და 31 მაისს ორჯერ ითამაშებს გდრ-ის ნაკრებთან, 3 ივნისს პარიზში გამართავს მატჩს საფრანგეთის თასის მფლობელ „სტად რენთან". 7 ივნისისთვის დანიშნული ურუგვაელთა გასვლა ბრიუსელში ადგილობრივ „ანდერლეხტთან", ხოლო 9 ივნისისთვის — როტერდამში „ფეიენოორდთან".

მიმდინარეობს მოლაპარაკება ურუგვაელთა მონაწილეობაზე პარიზის დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ივნისში უნდა გაიმართოს.

## ზაფხულს ასე გაატარებს

პელე ბრაზილიის ნაკრებს გამოეთხოვა, მაგრამ მას კვლავ დიდი დატვირთვა აქვს. ახლა მან ერთ ამერიკულ ფირმასთან დადო ხელშეკრულება: როგორც კი „სანტოსიდან" საზაფხულო შვებულებას მიიღებს, პელე მყისვე ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გაემგზავროს. იქ პელე უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სტუდენტ ფეხბურთელებს ამეცადინებს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ებრძვიან თმამოშვებულ მოთამაშეებს

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ მეტად საინტერესო დადგენილება მიიღო: ამიერიდან I ლიგის მატჩებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვათ იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც გრძელი თმა, წვერი და ბაკენბარდები აქვთ. გნებავთ პირველ ლიგაში თამაში, კეთილი ინებეთ და თმა შეიკრიჭეთ, წვერი გაიპარსეთ, რათა

კვლავ დაემსგავსოთ ფეხბურთელებს!

## სტუდენტები რუმინეთში იასპარეზებენ

19-30 ივლისს რუმინეთში გაიმართება ევროპის პირველობა სტუდენტთა შორის. დებულების თანახმად, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება სხვა კონტინენტის ფეხბურთელებსაც შეუძლიათ (უკონკურსოდ). ასეთი მსურველები კიდევაც გამოჩნდნენ. მაგალითად, თამაშის სურვილი განაცხადეს ბრაზილიელებმა და ტუნისელებმა.

აი, ვინ შეეცილება ერთმანეთს კონტინენტის ჩემპიონობას სტუდენტთა შორის: სსრ კავშირი, ინგლისი, ესპანეთი, იუგოსლავია, გფრ, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, ჰოლანდია და ლუქსემბურგი.

მეტოქეები ოთხ ჯგუფად დაყვეს, საბჭოთა სტუდენტები I ჯგუფში მოხვდნენ ჩეხოსლოვაკიის, ლუქსემბურგისა და ტუნისის გუნდებთან ერთად.

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

დნეპროპეტროვსკი, 20 მაისი. აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-14 ტირაჟი. იღბლიანი გამოდგა შემდეგი ნომრები: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 7 (ბიატლონი), 8 (კრივი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 48 (ჭადრაკი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04532